№ 6 კვირა, 13 აპრილი. | ერთი წლით ჟურნალი ღირს 2 მან. 50 კაპ., ნახევარი წლით 1 მან. 25 კაპ. წერილები და ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Мухранская 12, журналъ „ЛАХТИ". | ფასი 5 კაპ. № 6

ყაჩაღი ილიკო იმერლიშვილის სიკვდილი

2 აპრილს ბაგის ჭალაში მომხდარი ამბავი დღესაც საიდუმლოებით არის მოცული. ვისი იყო და რა მიზნით იყო იქ მიტანილი, შემთხვევით აფეთქდა ეს ყუმბარა, თუ იქ რაიმე ღალატი იყო, ყველა ეს კითხვა საშინლად აინტერესებს როგორც პოლიციას, ისე საზოგადოებას, მაგრამ მისი გამოკვლევას, ალბად შეუძლებელი იქნება მომავალშიც, თუ ნამდვილი ცნობა გადარჩენილმა ყაჩაღებმა „ჭოჭლის ბიჭმა" და ფიდო ფერმისაშვილმა არ გამოაქვეყნეს.

ვინ იყო ნიკო ქობულაშვილი? იგი ყაჩაღების ამხანაგი იყო და მათ ფარულად სანოვაგეს უზიდავდა, თუ იგი გზაზე შოიტაცეს ყაჩაღებმა და თან წაიყვანეს, როგორც ზოგი ამბობს; და საერთოდ რა როლს თამაშობდა, ეს გლეხი,—დღემდე ესეც გამოურკვეველია.

ამ ჟამად საბოლოოდ გამოირკვა, რომ ერთი მოკლულ ყაჩაღთაგანი ნამდვილად ილიკო იმერლიშვილი იყო, თუმცა დაჟინებით გაიძახოდ-



ნენ, იგი ნაძალადევის სროლის დროს მოკვდაო.

საქმის ვითარებამ სხვა გვაჩვენა: იმერლიშვილი სრულიად უვნებელი გადარჩენილიყო ნაძალადევის სროლას, მხოლოდ ამ დროს თოფი დაზიანებოდა, რომელიც თურმე მცხეთის გზაზე ერთის ხელოსნისთვის შეეკეთებინა. ჩქარა მთელს ქალაქს მოედო ამბავი, იმერლიშვილი ცოცხალია და დუშეთის მაზრაში იფარავს თავსო.

ნაძალადევის სროლის შემდეგ არ გაიარა დიდმა დრომ, რომ იმერლიშვილმა თავი მოჰკვეთა თავის ამხანაგს არჩილ იოსებაძეს, ქვაშვეთის ეკლესიის მედავითნედ ნამყოფს, რადგანაც ეჭვი აიღო, რომ იოსებაძეს საიდუმლო კავშირი უნდა ჰქონდეს პოლიციასთანაო. მოკვეთილი თავი კალათაში ჩადო, მიიტანა რკინის გზაზე და, ალბად მცხეთაში, ტფილისისკენ მომავალ მატარებლის ერთს ვაგონში დასდო. კალათა იპოვეს ბაქოში ვაგონების დაგვის დროს. კალათაში ბარათი იყო, სა-

დაც ქართულად ეწერა: „ამხანაგის მოღალატეს ასეთი სიკვდილი ეკუთვნისო“.

ამის შემდეგ ილიკო იმერლიშვილის შესახებ აღარა ისმოდა რა და აი მოულოდნელად 2 აპრილს მოვიდა ნამდვილი ცნობა, იმერლიშვილი მოკვდაო. რამ გამოიწვია ყუმბარის აფეთქება,—ამის შესახებ ხალხში სხვა და სხვა აზრი ტრიალებს. ერთნი ამბობენ, ყუმბარას ამზადებდნენ ყაჩაღები დილით რაღაც საქმეზე წასვლას აპირობდნენ, მაგრამ გაუფრთხილებლობით ყუმბარა აფეთქდა და ყაჩაღები იმსხვერპლაო. მეორეთა თქმით, ყაჩაღებს ღამით ტკბილათ ეძინათ, შუაში კი დიდი ცეცხლი გუზგუზებდა; ყუმბარა ისე უხერხულ ალაგას იყო შენახული, რომ ცეცხლი მისწვდა და ააფეთქაო. ეს ორი ვერსია ბევრს არა სჯერა შემდეგის მოსაზრებით: მთელი ის ადგილი, სადაც ყაჩაღები იყვნენ დაბანაკებული, სულ მოგლეჯილია, გარშემო მთელი ტყე მოტრუსულია და ყუმბარისაგან მიწაც კი უსწორ-მასწოროდ ამოთხრილია; ასეთ გარემოებაში თითქმის შეუძლებელი იყო ორის ყაჩაღის გადარჩენა. ამის გამო მესამენი ჰფიქრობენ რომ იმერლიშვილი მსხვერპლი გახდა ამხანაგთა ღალატისა; ამათის აზრით ამხანაგებს შორის რაიმე მტრობა იყო; ქოქლის ბიჭმა და ფიდო ფერმისაშვილმა ისარგებლეს ამხანაგების ძილით და შორს მანძილიდან მძინარეებს ყუმბარა დაახალეს. მსროლელნი დაიჭრნენ თუ არა, არ იციან. სისხლის წვეთები ახლო მახლო ადგილას არსად ამჩნევია.

გაქცეულ ყაჩაღთა ძებნას დუშეთის სამაზრო პოლიცია კვლავ განაგრძნობს.

გაზაფხული

გაზაფხულდა, გაზაფხულდა,
მისი ეშხით ყველა სტკბება,
ხოლო ციხის კედლებ შუა
პატიმარი ჭკვაზე სცდება.
საგანგებოდ გაიფურჩქნა,
აბიბინდა მთა და ველი;
ნეტარება კარში მყოფსა,
მე ციხეში რას მოველი?!.
მას უღიმის გაზაფხული,
ვინც მის მკლავზე მოისვენოს,
ვინც იცელქოს თავისუფლად,
დაითროს და დაისვენოს!..
ოდეს ხარობს კარში მყოფი,
კვნესის, სტირის ჩემი გული,
რათა ტრფობას და ალერსსა
ყველასა ვარ მოკლებული.
სიხარულის მაგიერათ
ამატირა, დამაღონა:
ჩემი წარსული და აწმყოც
თვალ-ცრემლიანს მომაგონა...
ოხ! ნეტავი რათ მოვიდა
მომხიბლავი გაზაფხული,
რომ ჩაკეტილთ საპყრობილეს
ალუშფოთა ყველას გული!!.

ილო ნაც—ლი.

წყარო

მღერის ჰაგნებს საიდუმლოს,
მოჩუხჩუხებს ქვებზე ჰკრთება
მისი ბგერა საოცნებო,
საამოვოდ მდელოს ჰწვდება,
წინ გაშლილა ყვავილთ ჯარი,
ვით ვარსკვლავი მაღლა ცაში
გადახნექით ხტუნაობენ:
ნაკადულო, ტაში! ტაში!

გ. ლეონიძე.

გურული სცენა

(მარკოზიას უბედურება)

ჩემდა საუბედუროდ გამიჩდა ერთი ქალიშვილი, ავზარდე თლა რიტარიტით; ჩიტის რძეიც არ მომიკლია მისთვის, რომ შეიქნა თექვსმეტი წლის, ჩამაცივდა პორუსკობაი უნდა ვისწავლოვო! კაი შვილო თქვა უთხარი და გამოუწყვე საგძალი: ქადის ფქვილი, ღომის ღომი, ლობიოს კაკალი და უთხარ: შვილო. პეტრია რომ არის იქინეი, იმასთან მიდი, მაგი ჩვენი ნათესავია, იმას ცოლი რომ ყავს ალათიე, ის ბაბუა ჩემის, მამიდეს ძროხის მოზიარეს შვილის შვილია. რომ მიხვალ, ის გაგიჩოთქავს კლასში საქმეს მეთქი.

ჩავიყვანე სტანციაში. უთხარი: მშვიდობით ჩემო კვარახჭინა მარიამ მეთქი და გოუყენე თბილისის გზას. ექვსი თვის შემდეგ ჩამობრუნდა ისთევლე შინ. დედავ! ჭკუაზე შევრეტიანდი კაკალი კაცი. შვილი გავგზავნე, სარივით იყო გაშთრიგხნებული. ახლა გულ-მკერდი გამობერილი, წელი განზე მიხრილი. არ დავლუპულვარ, შვილო ვინ ჩაგიბრიგა წელი მეთქი? არა მამა ჩემო, მაი მოდნა არისო. ვაი მოდნბ და გადადნა მაგიხ მომგონი მეთქი.

სალამოს, დაწოლის ხანს გეიხადა, მარა რა გეიხადა, გულიდან გამოათრია ერთი სასაბნე ბამბა, წელიდან ორი. შვილო, აი ბამბა, საბნათ შევაკერიოთ დედაშენს და წეიტანე თბილისში მეთქი. „მაი რაფერ იქნება, მოდნა არისო“.

ერთ კვირეს იყო ბინო შინ და ხომ კეკალივით მოდიოდა წერილები. ერთი წერდა, ოჯახ-ამოგუბული: ,,მოი დუშინკა, მარუსიავო... ზაჩემ ამდენს ხანს პრიეხალატ არ ზდელალაო. თუ მალე არ პრიეხაიტო კისლავოდკას, მერე დასვიდანიაო“. ამანაც ეიჩემა: „უნდა წევიდეო და შენც წამომყევო“. კაი თქვა უთხარი და წევედით. რომ ჩევედით ქალაქში იმდენი გოგუები და ბიჭები დოუხთა, რომ თელი დუნია მერექეთი. დოუწყეს: ა... ა... ა... სპრიეხალომ, სპრიეხალომო. ცოტა ქე გამიკვირდა, აპა აგენმა რა იცოდა, რომ ჩვენ დღეს ჩემევიდოდით მეთქი, თურმე ნუ იტყვი მუდამ ღამე სტანციაში არიან მისი წიგნებით. მივედით ოთახში. მეორე დღეს წევიდა ჩემი ქალიშვილი კლასში. მე შინ მემეწყინა და სტანციაში წევედი. სხვაგან გზაი არ ვიცოდი. ერთი კვირეს ვიყავი იქინეი და სულ სტანციაში დავდიოდი. ამ ჩემ ქალიშვილს სულ სტანციაში ვხედავ, ცოტა ქე გმიკვირდა, ხვთის-წინაშე. მარა, ვიფიქრე, რაცხა აქანეი ყოფილა კლასი მეთქი. თურმე სულ სხვაფერ ყოფილა საქმე.

წამოვედი მე სოფელში. კიდო ექვსი თვის მერე ჩამობრუნდა შინ, მაშინ გული ქონდა გამობერილი,

ახლა კი მუცელი. ცოტა ქე შევიფრცხალე, მარა ვიფიქრე, მაშინ გულზე იყო მოდნა და. ახლა მუცელზე ჩამოსულა მეთქი. ის კი არა სამი თვის მერე, ესიძოთ შვილის-შვილი კი არ შემეძინა!.. აია, შენი მოდნა გოგო მეთქი? ვბრიგე და ვბრიგე, მარა რაღაი დროს იყო. ეხლა ვთხოვ იქოურ მებუფეტეს, თუ ნახოს იქინე კიდევ გოგოუები, მიბერტყ-მობერტყოს, თუ არა იმათ მამებიც ჩემს დღეში ჩავარდებიან.

ა. ძაძამია.

კ ი თ ხ ვ ა

რისთვის გეწამე ქვეყნად, რისთვისა,
რისთვისა გზიდე წამების ჯვარი;
გულს მოგონება რისთვისა დრნისა,
რათ ვარ ბედისგან ესდენ დამწვარი?!

რათ დამიმსხვრიე ეტლი ბედისა,
რათ მომიშხამე ტრფობისა დღენი,
გულს რათ ჩამიკალ ხმა იმედისა
საკვნეს საცრემლოთ რომ შეგიქენი?!

შენ გეკითხები ცრუო სოფელო:
გაუტანელო ჭირის მყოფელო,
ზენაარს იქით რომ სახავ სადგურს,
ოცნებას იქით უჟღერებ ჩანგურს.

იქით მამიწევთ, იქით მიმათრევ,
სივაგლახის ჟამს მატკბობ და მალხენ;
ხილულ ჯოჯოხეთს, ხსნით მიფერადებ,
და ლოდინში კვლავ კაეშანს მადებ...

რასაც მპირდები, ის დრო სალხენი,
სიზმრად ვერ ვნახე ის ტრფობის დღენი,
კვლავ სიმწარე მდევს სავალალენი
ესდენ ტანჯულად გარდავიქენი...
შენ კვლავ მატყუებ ცბიერი ქნარით,
მე კი, ლოდინში სულს ვლევ სიმწარით.

ეხლა მოგელტვი, და გნუკავ მარქვი
ბედი ხელიდან რისთვის წამართვი?
რასაც სიყრმითვე მაპირობნებდი,
მისთვის თავს ვდებდი, მისთვის ვკვდებოდი
თუ კი შემთხვევით მას ვიპოვებდი,
თუნდ ამ საწუთროს მყის დავტოვებდი..

შენ კი მომტაცე რისთვის და რათა,
მაშ რისთვის გწიე მძიმე ჭაპანი?!
სული ჯოჯოხეთს გადამეხლართა
წინ ეკლით ფენილ აღმიდგა გზანი

რისთვის დამტანჯე მუდამ ტანჯული,
რისთვის ამინთე ცეცხლის გზნია,
თუ იგოდებდა კვლავ ჩემი სული
კვლავ ჩამქოლავდა სიმწრის დღენია?..

ირ. ტოფაძე.

მ უ შ ა

მით ვამაყობ, რომ მე არ ვარ
ვისმესავით გაიძვერა,
სხვისა ნაშრომს არ ვიტაცებ
და ჩემს ახზე გული მჯერა.

მით ვამაყობ, რომ მუცელი
ცოტაზედაც მაძღარია,
და ეს მცირე ნაშოვარიც
ჩემი ოფლით ნაღვარია.

და თუ ვნახე ვინმე ჩემზე
უფრო ბედით დალანძული,
ჩემი ოფლით ნაშოვარი
მისკენა მაქვს მომარჯვული.

მით ვამაყობ, რომ ჩემს გულზე
სულ ,,სიმართლე‘‘ აწერია,
უსამართლო, ცრუ იუდას,
ვარ მედგარი მე მტერია.

—

„უკუღმართი სიტკბოება“
ეგ, საწუთო ზღაპარია—
კეთილი და კარგი საქმე,
„უკვდავების“ ლამპარია.

ი. მეგრელიშვილი

მედავითნე ფეტვია

საწყ:ლი ივანე!.. იქნება ეხლა მისი ძვლებიც კი აღარსად იყოს, მაგრამ თავის დღეში არ დამავიწყდება ჩვენი მედავითნე: ამოკუზული მოხუცებული, ჭაღარა და მოთელილი წვერით, ელემი თვალ:ებით, ბურნუთიანი ცხვირით.

სულ თვალწინ მიდგა. ასე მგონია, აი ამ საათში ჩემ წინა დგა თავისი დაკონკილი ახალუხით, ხელში ხის ბურნუთის კოლოფი უჭირავს და სიბერისაგან დაკვლანჭილ და დაჭმანჭულ ორ თითს ბურნუთით სავსეს ცხვირის ნესტოებს არ აშორებდა.

საბრალო ივანე! არა მგონია სოფელში ყოფილიყო ისთი კაცი, რომ იგი ეხლაც არ ახსოვდეთ.

მეტად უყვარდა საწყალს გადაკვრა, ასე რომ მას კაცი ფხიზელს ვერა ჰნახავდა. სოფელში ყველას აბუჩად ჰყავდა აგდებული, მეტი სახელიც ივანეს სოფელმა უწოდა: „ფეტვია“*).

*) სულელი, ცერცეტი.

ივანეს სამრევლოში შედიოდა მთელი სამი სოფელი. თითონ ეკლესია იყო გორაზე. ზევიდან ამაყად დაჰყურებდა თავის მრევლს. აღმოსავლეთით იყო ჩვენი სოფელი, სამხრეთით მეორე და მესამეც დასავლეთით. იქვე ეკლესიასთან იყო აშენებული ორი ქვიტკირის ოთახი. ერთში სცხოვრობდა ივანე თავის ვირით, ხოლო მეორეში ბინავდებოდნენ ღამის მთევლები.

გადაჰკიდებდა შემოდგომაზე ივანე ვირს დაგლეჯილ ხურჯინს და დაიწყებდა სოფლიდან სოფლამდე წანწალს კოდის პურის ასაკრებად, მაგრამ როდესაც მისი მოხუცებული და შეზარხოშებული თავი აღარ ემორჩილებოდა, შეჯდებოდა თავის „ვასკა“ ვირზე და ისე მშვიდობიანად მიიყვანდა ხოლმე სახლში, როგორც კარგი პატრონი. ივანესაც იმიტომ უყვარდა თავის მეგობარი და გვერდიდან არ იშორებდა. სულ მის მოვლაში იყო.

აღდგომას და შობას მოუთმენლად მოველოდდით ხოლმე ჩვენ ივანეს.

რა არის ბალღობა!..

ჩვენ სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, როდესაც დავინახავდით იმ ტკბილ მოხუცებულს. ბევრს გვაცინებდა ხოლმე და თუ სველი ხელადით ღვინოსაც გადავაკვრევინებდით, გამოგვიყვანდა და სათითაოდ შეგვსვამდა თავის საყვარელ ვირზე.

შობის ღამეს დილიდანვე იწყებდა ალილოზე ტარებას, რათა ყველა შემძლებელი ოჯახი მოევლო თავის ვირით და სარჩო ეშოვა. ჩვენ სოფელს ღამე უწევდა ხოლმე, რადვანაც ჩვენ უფრო მოშორებით ვიყავით ეკლესიაზე, ვიდრე სხვები.

წინ თითონ მიდიოდა თავის ორკაპიანი ჯოხით; გულზედ თოკით ჩამოკიდებული ჰქონდა უზარ-მაზარი ფიცარზე დახატული ღვთის მშობლის ხატი, მეორე ხელში ეჭირა ვირზე გამობმული თოკი. რომელიც მორჩილად მისდევდა ყურებჩამოყრილი თავის პატრონს.



ს ა ტ ა ნ ა.

არ დამივიწყო

(რომანსი)

ოდესაც მნახო დალონებული, დამსხვრეული ქნარითა
გთხოვ გამამხნევო, გამიმთელო, სიმნი ამიწყო, |ხელში:
რომ ობლად შთენილ მიჯნურისა წრფელ სიყვარულით
ზედ დავამღერო ორი სიტყვა: არ დამივიწყო!..

როს დავრდომილი ნნახო სადმე არრისა შემძლე,
გვერდს ნუ ამიხვევ და არც ზიზღით ქცერა დამიწყო:
გულის საუნჯევ თუმც შეგძულდე და არ მომხედო,
მაინც ამას გთხოვ: არ დამივიწყო, არ დამივიწყო!..

ოდეს განვშორდე წუთი სოფელს, მოვწყდე სიცოცხლეს,
ჩემო ტურფავ! ცრემლი არ ჰღვარო, გლოვა არ იწყო;
იმხიარულე, იცეკვავე, იმღერე ყველგან—
მხოლოდ გახსოვდე, მიგონებდე, არ დამივიწყო!..

ამ ქვეყნიურო ბაღო ედემის—სიმბოლოვ შვების.
ან თუ ოდესმე სხვას ეკუთვნო, ტრფობა დაუწყო,
მიწა გრილია! აცივებს ყველას—თვით ხსოვნასაც კი...
... შენ გენაცვალე, თავს შემოგევლე, არ დამივიწყო!..

ოდესაც სხვას სიყვარულში ეფიცებოდე, გახსოვდე მარად
ჩემი კოცნა შენს ბაგეზე არ დაივიწყო...
სამარის თავს მდგარი ია და ქვის წარწერაც
იმავ ორ სიტყვას იღაღადებენ: არ დამივიწყო!..

ს. ერთაწმინდელი.

მკითხველს გაუკვირდება: რად უნდოდა, რომ ხატი კისერზე ჩამოეკიდნაო?!.

საკვირველი არ არის. ეს ივანეს ჭკვიანური მოგონება იყო, იმ მოსაზრებით, რომ სიმთვრალეში ხატი არსად დამრჩეს და არ დავკარგოვო.

ერთ შობის ღამეს დიდი ყინვები იყო, მაგრამ მაინც ფეტვიამ უნუგეშოდ არ დაგვტოვა. შეიქნა ჩვენ ბოთვერას და ალმასას გრიალი და ყეფა. ბალღები სიხარულით ფეხზე წამოვცვივდით, როდესაც ბიჭმა ძაღლებს ხმა მისცა და დააჩუმა. ფეტვიამ კარებთან ჩაახველა. კარებთან ჩახველება ფეტვიას ჩვეულებათა ჰქონდა გადაქცეული, ვისთანაც მივიდოდა, ჯერ კარებთან ჩაახველებდა, მერე კარებს დაუკაკუნებდა. გავიგეთ თუ არა ჩახველება, მაშინვე დავიწყეთ ყვირილი:

— ფეტვია, ფეტვია!

დედა ჩემი სიცილით ფეხებს გვიბრახუნებდა.

— სუ, გაიგებს, სირცხვილია!

მაგრამ ვინ ეპოვებოდა.

შემოვიდა გადაკრული ივანე, ვირი აივანზე მიება.

შემოსვლისთანავე ჯერ პირ-ჯვარი გადიწერა, მერე თავი დაგვიკრა, აანთო ორი ყვითელი სანთელი, დაიჭირა გულთან და დაიწყო შობის გალობა.

როდესაც ლოცვა გაათავა, გააქრო სანთლები და პირველად დედა ჩემს, როგორც სახლის უფროსს, მიუშვირა გული ხატზე სამთხეევად. დედა-ჩემმა პირ-ჯვარი გადაი წერა, და მიუშვირა ტუჩები. ჩვენ, დავიწყეთ სიცილი, რადგანაც ფიცარზე არავითარი ნახატი არ იყო, დაინახა თუ არა დედა-ჩემმა ცარიელი ფიცარი, უკან გადგა და გაწბილებულმა უთხრა ფეტვიას:

— არა გრცხვენიან? ღვთის მოყვარე და ისიც სასულიერო კაცი ამას ჩაიდენს? ხატის მაგივრად გულზე ფიცარი ჩამოგიკიდნია?!.

— ოჰ! შენ ჩემო თავო!.. ამის მადლი გაუწყრა ტიტოს!..

— ტიტო რა შუაშია?—ჰკითხა დედა-ჩემმა,—სულ ღვინის ბრალია!

— როგორ რა შუაშია?!—განრისხებულმა ფეტვიამ ელემი თვალები დააჭყიტა,— როდესაც მოლიღული გორიდან ჩამოვდიოდი, იქ დამიხვდა ეშმაკსავით და შემეხვეწა, ხატს მე წამოვიღებო, აგრედვე მითხრა, მე წინ წავსულიყავი. როდესაც ცოტა დავწინაურდი, უკანიდან მომესმა საშინელი ყვირილი:

— ხაბარდა, ხაბარდა! -თორემ ფეხებს დაგამტვრევო!..

—მივიხედე... გზა მივეცი... მეტი რა ჩარა მქონდა? რა დავინახე?..— შემოიკრა ივანემ თავში ხელი,— ტიტო ხატზე დამჯდარიყო, ყელის თოკი ხელში დაეჭირა და გამალებულს ძლივს-და მოვკარი თვალი, ისე მისრიალებდა... როგორც ეტყობა პირქვე დაუდვია და ისე დამჯდარა... როცა გზაზე ჩამოვედი, სიცილით მომაგდო ხატი და თითონ გაჰკურცხლა სახლში. უეცველად მაშინ წაიშლებოდა ხატი. არ შეარჩენს მას ღმერთი... მიუსჯის ღირს სასჯელს... ნუ გგონიათ ეს საზიზღრობა შეარჩინოს... განა ეს პირველია?! ბევრ-

ჯერ უქნია ოინები, მაგრამ ვითმენ. ამასწინად შევხვდი და დამიწყო მოხუცებულს თავისებურად დაცინვა. მიუბრუნდი და უთხარ: ტიტო, ქრისტიანი კაცი ხარ ღმერთს ნუ სცოდავ, ისედაც ბევრი ცოდვები გაქვს, დიდ-მარხვაა, ერთხელ მოდი და ეზიარე მეთქი. იცით რა მიპასუხა, იმ ურჯულომ იმან?

— ცოლ-შვილი გაგიხდეთ შენ და შენ ლიპიან მღვდელს საზიარებელი, მე რა მაქვს საიმისოვო.

— აბა ერთი მითხარით, რა უყო ასეთ თავზე ხელ-აღებულს? იგი ღვთისთვისაც და კაცისათვისაც მავნებელია!..

დაათავა და საწყალმა ივანემ დაიწყო წირპლა. დედა-ჩემმა გროშები მიაწოდა. ივანემ თავი დაუკრა და დაღონებულმა და გამწარებულმა, მაგრამ როდესაც სველი ხელადა დავანახვეთ, მაშინ გამხიარულდა, დაგვლოცა, ერთი თავისებურად მოიწაფა, გააწკაპუნა ტუჩებით, მადლობა გვითხრა, გამოგვემშვიდობა და გაუდგა თავის ერთგულ ვირით გზას.

ილო ნაც—ლი.

თელავის რამე

(წერილი „ლახტისან“ ეშმაკისადმი)

ეშმაკოჯან მსურს გიამბო,
ახალი რამ თელავისა,
თუ იფიცებ ტარტაროზებს,
რომ არ ეტვი არავისა.

ამ კურთხეულ ქვეყანაში
რა არ არის სანაქებო,
ვერ აგიწერ და ესე სჯობს,
ჯერ მას თავი გავანებო.

მხოლოდ ძმაო, რასაცა გწერ
ეს ახალზე ახალია,
„სასწავლებელს“ გვიარსებენ—
იცან მისი სახელია.

„საროსკიპო სახლი“ ჰქვიან
რა იქნება უკეთესი,
ქვეყანა მან დაამშვენა,
ქებულია მისი წესი.

და ჩვენ რაღად ჩამოვრჩებით,
ჩვენ კი არ ვართ ხალხი განა?
თუმც რა გვიჭირს, მაგრამ უფრო
წინ, წინ წავა ეს ქვეყანა.

„საროსკიპო“ იცი ძმაო,
სიკეთეა რკინის მკვეთი,
თუ რომ მალე არ მოაწყეს
იღუპება მთლად კახეთი.

წვირლფეხობა გარე რჩება,
უსწავლელად სიბნელეში,
საროსკიპო გაანათლებს
და შეიყვანს სინათლეში.

მხოლოდ ძმაო, სამწუხაროდ
მოთავენი ვახლნენ ავად
და ეშმაკჯან გამოგზავნე,
„ლახტს“ ნდომობენ სანახავად.

გ. ძამუკოვი.

მესტვირული

(დიდი-ჯიხაიშისათვის)

სტვირს მოვრთავ, გუდას ჩავბერავ
ვამღერებ, ხან კი ვატირებ,
ჩვენს დიდ-ჯიხაიშს მივმართავ
და ჯერ მას მიუხმატკბილებ.
მსურს მიულოცო იქ ნაცნობთ
ბრწყინვალე დღესასწაული,
ყველა შევაქო დიდებით,
როგორც დავითმა საული.
თავადებიდან დავიწყებ,
ავყვები ტრადიციებსა,
ნიკოსაც ვუმღერ, საშასა,
იმ კერა განაციებსა.
მერმე აზნაურთ შევძახებ:
გლეხთან რათ არ გსრუთ ერთობა?
ნუ თუ აქამდინ ვერ ამჩნევთ,
რომ გაჰქრა თქვენი ღმერთობა!?
ყველას კი ერთად ვეტყვი, რომ
პამპულაობა ძნელია,
ანებონ თავი უქმობას,
და თოხსა მიჰყონ ხელია.
ეხლა კი ვუთხრათ მშვიდობით,
თუ გვინდა სულის ცხონება,
სამსონს და ბესოს ვუმღეროთ,
იმათაც მოეწონება;
ვუთხრათ: ქანქარზე ნუ წუწკობთ,
ეს ხომ სიმართლის გმობაა,
საკუთარ ჯიბის გატენა
რა ერთობა და ძმობა?!
ნურც სერგო დაგვავიწყდება:
სკოლის გამგეა „ქებული“,
რა უშავს, ბედნიერია
„ზეციდან“ მირონცხებული!..
„აღდგომა“ უკვე მოასწრო,
მოელის „ამაღლებასა“,
წვალობს, ოფლსა ღვრის, მუხლს იდრეკს,
მაგრამ ვინ ეტყვის ქებასა!..
გადაგვარების მოსურნე,
ბუნებისაგან კრულია,
სხვის ზურგზე გასუქებული,
ყოველთვის წაგებულია.
ისე შენც... მაგრამ ეყოფა!..
მისიც ეყოფა მას ჭირი.
ივანე მოვინახულოთ,
სამკითხველოსკენ ვქნათ პირი,
ეტყობა დღესაც „უხუხავს“,
ჩვენს ქებულ მეთვალყურესა
მიკვირს, ამდენ ხანს, „ლახტითა“
რატომ არ შეახურესა?!.
„პედაგოგთ“ მივუბრუნდები,
არც იმათ ვეტყვი ქებასა!
თუ კვლავ ამ რიგად იცხოვრეს,
შეეყრებიან სნებასა..
ჯერ ეს მეყოფა—დავლალდი,
მუზაც გაფრინდა ტიალი.
კვლავ ვესტუმრები ჯიხაიშს,
თუ არ მომწყინდა ყიალი.

პასქა.

ამხანაგ ქალის წერილი ამხანაგ ქალთან.

ძვირფასო დაო ნინო!

უპირველეს ყოვლისა, მოგიკითხავ წრფელის გულით და გისურვებ ცხოვრებაში გამარჯვებას. თუ მიკითხავ, მე, ქე ვარ ჩემთვის, რავარც შეეფერება „თანამედროვე ცხოვრე-

ბის მსხვერპლს“ და გადმოხვეწილ ადამიანს; როცა მიდამდება, აღარ ვიცი გამითენდება თუ არა, არავითარი დახმარება, არავითარი თანაგრძნობა. ჩემი „მეგობარი“ ის არის, ვისაც ჩემს მეს გავაქელიებ, ვისაც სათამაშო ბურთად გოუხთები. ყოველი კაცი ვაჭრულის თვალით გიყურებს, ასეთი ყოფილა ულმობელი ცხოვრების კანონი. მე რომ ძალუანი ვაჟ-კაცი ვყოფილიყავი, ხომ გაუმკლავდებოდი ცხოვრების უკუღმართობას, მარა ეჰ, ჩემო ნინო! კმარა, ამიზა ლაპარაკი მეტია. ნუ თუ ვერ წარმოიდგენ სუსტი არსებას და ისიც გარდახვეწილს?.. მე გევეგე ჩემო ნინო, რომ კეთილი საქმიზა მოგიკიდია ხელი; ვგონებ გაზეთის რედაქტორად ყოფილხარ, გისურვებ იდეალების განხორციელებას, მარა ძაან სიფრთხილე კი გმართებს. დიაღ გაფრთხილდი, ჩემი ხვედრი შენც არ გეწვიოს. შენ ხალხიზა გეგიწირავ თავი, მარა იგი ხალხი მერმეთ შენ გაგქელავს, რავარც მე მქელავს. ასთეა დღეს და რა იქნება შემდეგ — ჯერ არ ვიცით.

ახლა რას გეხვეწები, დაიკო ნინო. რაი დაგემართა ქალო და ეს პატარა სურვილი ვერ შემისრულე: რა ქენი იყავ ბ-ნ პ—სთან თუ არა? რაი პასუხი მოგცა? პირველ წერილში რომ მწერავდი,უარი მითხრაო— რეიზა უთხრობია უარი კაცო, არ მართებს თუ?.. თუ მაგის სინიდისი გაწყვეტია, შენ ხომ იცი, გაზეთი რომ დეიკეტა ორივეს ნამუშევარი 70 მან. დაიდვა ვალად ჩვენი ე. ი. ორივესი. ქალო, შენ თუ არ გადლევს, მე რას მემართლება?!. ხომ იცის მაგი გლახამ, რომ გადმოსახლებული ვარ, სუსტი არსება და ყოველი გროში მილიონის ღირებულებას შეადგენს ჩემთვის?.. ახლაც ხომ უსაქმოთ არ არის. მე გევეგე რომ ქალაქის გამგეობას რაცხა კაი ჯამაგირიანი საქმე მუცია, და ამას გარდა კანონიერი ცოლი გოუგდია და ვინცხა ნათრევ რუსის გოგოსთან ყოველ ღამე რესტორანებში ათიებს და მე კი ჩემი ნაშრომის, თუნდა თვეში ერთი მანათიც არ უნდა გამომიგზავნოს?.. ფუი მაგის კაცობას და დემოკრატობას... ქალო, მაგი კაცი არ არის, რომ გაზეთებში წერავს და თავი ხალხის მხსნელად მოაქვს! არ მინდა მაგის დახსნა, ჩემი ნამუშევარის თვეში 1 მან. გამომიგზავნოს. აბა ჩემო ნინო, რომ მწერავდი შენს პირველ წერილში, რომ ცუდ დროში ვცხოვრობთო, ცუდი კი არა ძაან კაი დღე დაგვიდგა, ვისაც კიდევ შერჩენია სადი გონება და თვალი, მას შეუძლია ახლა გაარჩიოს შავი თეთრისაგან — ე. ი. ბ-ნი პ — სთანა გმირები კარგად გეიცნოს და ამის შემდეგ კი არ აღმერთოს — არამედ აფურთხოს!..

ეჰ, ჩემო ნინო, დამიჯერე, რომ მაგისთანა „გმირები“ რომ მართლა ხალხის მხსნელები იყვენ, ამ ჟამად ჩემს ცოცხალ ლეშს ყვავ-ყორანნი თავისუფლად არ დასჩხავიდენ. უკანასკნელად გეხვეწები დაიკო ნინო, ერთხელ კიდევ გაისარჯე და სთხოვე ჩემს მაგიერ, რომ ჩემი ნაშრომიდან თვეში ერთ მანათი გამომიგზავნოს, უბინაოთ ვარ და პური მშია.

იმედია საპასუხო წერილს მომწერ.

პატივის ცემით შენი უფალი მეგობარი ასოთ-ამწყობი ქალი მაკრინე.

გაზაფხულის მოლოდინში

გაზაფხულდა... ათას ფერად
მოიქარგა მინდორ ველი,
ტყე ფოთოლით შეიმოსა
დრო დაგვიდგა სანატრელი.

მწყემსი ხელში სალამურით
წინ ცხვრის ფარას მიუძღვება,
შორს, შორს ისმის მისი სტვენა
და სივრცეში იკარგება.

გლეხმა გუთანს ხელი მიჰყო
წინ გიშერა გაიძღოლა,
კვალ-კვალ მისდევს არ შორდება
აქეთ-იქით ბელტებსა ყრის.

ტოროლამ ცაში დასჭყივლა
გაიღვიძა არე-მარე,
გაზაფხული მოახლოვდა
შრომის შვილო გაიხარე.

ნ. დავითიშვილი.

კუპლეტები

(სახნკრეში ნაშოვნი წერილებიდან)

,,**კლეოპატრამ**'' ასე ბძანა:
— მოარშიყე ქალი ვარო,
ჩემს გულის ვარდს ვერ წამართმევს
ვერც მაშიკო და ვერც დარო,
სილამაზით განთქმული ვარ,
ტოლათ ვერვინ დამადაროთ,
სულ უცნობი, რომ შემომხვდე
წამს ,,პოდრუჩკი'' გაგიყარო
,,რუსკი'' ძალზე შემიყვარდა
,,ნენავიჟუ'' კარტველსაო,
მოპარუსკე განაცვალე
მისკენ ვაპყრე თვალებსაო.

,,**მადამ-ჟანმა**'' შეუთვალა:
— შენ მოგიკვდეს ჩემი თავი,
რატომ წერილს აღარ მწერავ
გულს დამაწვა სევდის ზვავი,
მოგიკითხავთ სიყვარულით
შენ და შენსა სატრფოსაო,
მიშკა სწორედ გადრევა
ეხლა მე რომ მნახოსაო!
მოვიმატე ხორცი, ფერი,
მოვიგლიჯე გულზე სევდა,
პეპელასავით დავფრინავ
სულ გაგიჟდა ვინც შემხედა.
შენც ხომ იცი ბავშვი მყავდა
მიწუხებდა სულს და გულსო,
ისიც ბიძას გადაუგდე
ეხლა ჟამივითა მძულსო.
დილას რომ გავკოხტავდები
ჩაის დავლევ კარაქითო,
მერე იქით შევაყოლებ
შენც ხომ იცი ,,მამალ-ქითო ''

,,**აკტავიამ**'' რომ გაიგო
— კაპასობენ ქალებიო,
მყისვე კალამს სტაცა ხელი
გააპყიტა თვალებიო.
და მისწერა: ჩემო დებო,
ლამაზებო, გვრიტებოო,
ასე ადრე რათ ჰკეკეობთ,
დამაცალეთ გიჟებოო.
ვითომ რო იპრანჭებით,
იგრიხებით ვით მელია,
ნაირ-ნაირ ყმაწვილს ვეძებთ
(სიყვარული რა ძნელია?!.)
შეარცხვინოს ღმერთმა თქვენი
სინიდისი, გძელი ენა,
მართლა დებივით მიყვარდით,
ეხლა კი დამიწყეთ კბენა.

ერთი მყავდა მე მიჯნური,
ურჩევნოდი თვის სულსა,
ბოლოს ისიც გადმიბირეთ
სალამს უძლვნით მას მტრულსა.

სოჯინჯალე.

მემკვიდრის მოლოდინში

(ამბავი სოფლის ცხოვრებიდან)

ზაქროს სიხარულს საზღვარი აღარა ჰქონდა, რადგანაც დღეს თავის მარიკომ ახარა, რომ მალე შვილის მამა გახდებოდა.

— რაღა მიჭირს ეხლა, უსათუოდ ვაჟიშვილი მეყოლება და ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფსო. მანამ ჯანი მაქვს, მარტო ხელიც გაუძლვები ოჯახს და შვილი, რომ წამოიზრდება, მხარში ამომიდგება და მალე თვალსაჩინო გლეხი შევიქმნები სოფელშიო,— ფიქრობდა ზაქრო და თან მხიარულად ათამაშებდა ხელში თოხს სიმინდში... მაგრამ ვიდრე ამ ამბავს გავაგრძელებდეთ, საჭიროა ცოტათი გავიცნოთ თვით ზაქრო.

ზაქრო ძრიელ ღარიბი დედ-მამის შვილი იყო, რომელთაც დედამიწის ზურგზე, როგორც იტყვიან ხოლმე, არა გააჩნდათ რა ნახევარ დღიური ხრიოკიანი და არაფრის გამოსადეგარი მიწის მეტი... ამიტომაც თორმეტი წლის პირმშო შვილი დედმამამ ერთ მოხუცებულ დალაქს მიაბარეს შეგირდათ. „რა ვქნად, ხელობა მაინც ისწავლოს, რომ ლუკმა ჭამოსო“, იტყოდნენ ხოლმე ზაქროს დედ-მამა.

ზაქრო ისეთი მუყაითი და გონიერი ბავშვი გამოდგა, რომ ერთ წელიწადში ხაზეინმა ჯამაგირი დაუნიშნა და სამუშაოდაც გაუშო.

ოხ! რა ბედნიერი დღე იყო ზაქროსთვის, როდესაც პირველად მაკრატელი აათამაშა ხელში და უსწორ-მასწოროდ, გათლილ ბოლოკივით, დაუკორტნა თავი ერთ პირველ თავის მუშტარს...

ზაქრო ამ დღიდან თავის თავს ბედნიერად სთვლიდა. . მაგრამ ეს ბედნიერი ხანა მალე გაუმწარდა, რადგან დედა მოუკვდა. ბევრი ინაღვლა მაგრამ რაღა ეშველებოდა?.. და რადგან მოხუცი მამა მარტოკა ვერას ხდებოდა, ზაქრო იძულებული შეიქმნა სოფელში დაბრუნებულიყო და იქ გაეგრძო თავის ხელობა. მაშინ სრული თვრამეტი წლისა იყო. ზაქრო სოფელში მუყაითად შეუდგა თავის ხელობას და სულ ორ წელიწადში საკუთარი ქერი შეიძინა და ერთი დღიური მიწა.

შვილის ასეთი გამჭრიახობით და მუყაითობით გახარებული ზაქროს მამა ეხლა მთელი დღე ცოლის შერთვას ჩასჩიჩინებდა შვილს.

— შვილო, ნუ მომკლავ ისე, რომ შენი გვირგვინი ვერა ვნახო, —ეტყოდა ხოლმე მამა, თითქოს მოწყალებას სთხოვსო.

ზაქრო თუმცა დიდიხანი უარზე იდგა, მაგრამ ბოლოს მამის მუდარამ გასჭრა და მალე დაქორწილდა, დიდიხნის გაჩუმებული კერა აახმაურა. ზაქროს მამა, ამ ბედნიერებით სრულიად გაყმაწვილდა და დღე და ღამე ჯანის დაუზოგავათ ოჯახის ბედნიერებისთვის ზრუნავდა...

— ოხ, ნეტა კი ბიჭი მეყოლოს და ისეთ ნათლობას გადავიხდი, რომ მტერსაც კი იამოსო;—ასეთ ფიქრებით დამთვრალი ზაქრო, და იმის მოლოდინში, რომ მალე ვაჟი-შვილის მამა გახდებოდა, სრულიად დაავიწყდა, რომ სამხარი არავინ მოუტანა...

— ნეტა რა მიზეზია, რომ აქამდის სამხარი არ მომივიდა?..— გაივლო ზაქრომ გულში და თანაც რაღაც შიში იგრძნო?

უეცრივ გააგდო ხელიდან თოხი და ჩქარის ნაბიჯით გაეშურა სახლისკენ. რამდენი ნაბიჯითაც უახლოვდებოდა სახლს, იმდენი მის გულს შიში იპყრობდა.

— ღმერთო, რა უნდა იყოს,— ფიქრობდა ზაქრო,—იქნება მარიკა დაწვა?.. იქნება ვაჟი მყავს?..—ზაქრომ ფეხს აუჩქარა, რათა მალე მისულიყო და გაეგო თუ რა ხდებოდა მას სახლში...

მისვლისთანავე ზაქრომ მსწრაფლ შეაღო კარები და შემდეგი სურათი გადაეშალა თვალწინ: საბრალო მარიკო უსულოდ იდო ლოგინზე და მის გვერდზედ ახლად დაბადებული გოგო ჩხაოდა... თავზარ დაცემული ამ სანახაობით ზაქრო ერთხანს გაშტერებული უყურებდა მაკროს გაციებულ გვამს... მერე უცბად დასტაცა ხელი ბავშვს... ერთი საშინლად გაიცინა და უდანაშაულო არსება კარებში გაისროლა...

ვანო საათაშვილი.

დ ე პ ე შ ა

დ. სამტრედია. გამოზაფხულდა თუ არა, აქაურმა ქალ-ვაჟებმაც არშიყობას მიჰყო ხელი. ამის გამო დაარსდა „ბიურო“, სადაც იღებენ მსურველთ. ჯერ-ჯერობით 20 სულამდეა ჩაწერილი ორივე სქესისა.

„ზ. სკამკოჩაიშვილს“ (აქაური პოეტის ფსევდონიმია) განუზრახავს გამოსცეს აქ იუმორისტული ჟურნალი—„ნინას შაშვი“, რომელშიაც იქნებიან მოთავსებული მარტო მისი ლექსები. ეს იმ მოსაზრებით, რომ მისთვის ,,ლახტში“ არ დაუბეჭდავთ ლექსები და „კონკურენციას“ ეწევა. როგორც დანამდვილებით გვიგეთ, მისი პირველი ლექსი აი, ასე, დაიწყება:

ვის მოუთხრა ჭირი ჩემი
გულსა ცეცხლი სადებარი,
მოყვარესა ვინ დაუგმოს
საქმე სიბრძნით საქებარი.

იკლო ღვინის სმამ, გახშირდა კარტ-ნარდის თამაში. აიწია ხორცის ფასმა, დაიკლო კვერცხისამ. კაი საქმეა სწორეთ!! **თაგვიხარა.**

ს. ჩიბათი. აუარებელი ჩალხი აწუდება აქაურ სამკითხველოს, სკამების სივიწროვის გამო მიდიან ბ. ბეჟანის დუქანში და იქცევენ თავს „ტრილისტით“.

ლანჩხუთი. ათი საათი და ორმოცი წუთი იქნება, რაც ნესტორ მხეიძე არ დამთვრალა. რადგან ძლიერ ცხელა. მაკარი და მისი კომპანია ,,ლუბოჩქითურთ“ მიდიან საგარაკოდ ქვალონში.

ნიგოითი. ელისო გოგეშვილმა ნება დართო, მოხეტიალე ყმაწვილე-

ბმა ფურნეში შეიქციონ თავი კარ-
ტის თამაშით.

სუფსა. ელენა ხევცურიანმა გა-
დაიხადა დაბადებიდან ოცდა ერთი
წლის დღესასწაული. დაესწრო ყვე-
ლა მისი მოაზრენი და დაიხარჯა
ბევრი უზომო სიტყვები. ბევრი სა-
გმირო საქმენი მიუძღვის ამ იშვიათ
ადამიანს, მეც მაქვს მისთვის საჩუ-
ქრათ ,,ლახტის'' კუდი. თა—რა.

ქუთაისი. მიუხედავად იმისა, რომ
ჩვენი ქალაქის წყალსადენ, კანალი-
ზაციის და ტრამვაის კანონ-პროე-
ქტი არ დაუმტკიცეს, ქალაქის მამებს
მუცლის ტკივილი აუტყდათ. ქალა-
ქის თავმა ილ. ჩიქოვანმა გამოუწე-
რა მათ ინოზემცევის წვეთები. მდგო-
მარეობა საშიშია.

სალორიის სასაფლაოს მოიჯარა-
დრესა და მეთვალყურეებს ძეგლების,
მარმარილოსა და ჯვრების ჭამა და-
უწყვიათ. ამის გამო 90 მკვდარმა
საჩივარი განაცხადა ეპისკოპოსთან.

საფირჩხიაზე დამთვრალი ბრიგა-
დისტები ქუჩაში ველარ ეტევიან.
ამის გამო დაზიანებულია სახლის
ფანჯრები და ლობეები (რა გვეშვე-
ლება ამ დღესასწაულებში?)

პორფირეს სადალაქოში კარტ-
კამათლების თამაშმა იმატა. მოწვე-
ულნი არიან საუკეთესო გინების
მცოდნე მასწავლებლები. მსურველთ
შეუძლიანთ ჩაეწერნენ აქვე.

ივანოვის ქუჩაზე დანიშნულია
მოარშიყეთა პაემანი. ყველა კარებ-
თან შეხვედებით თითო-ოროლ წყვილს
აქვე ირ. ფირცხელაშვილის დუ-
ქანში ვირთხამ სოროს ქვეშ ჩაითრია
ნოქარი. სანახავათ ფიცხელი ზომე-
ბია მიღებული. კვინტრიშა.

გასართობი

გლოვა სჯობია უზომოდ.
ლაზღანდარობა ხარხარსა,
თუ კაცი ზომას არ მისდევს
არვინ დაუჯერს მას მხარსა.
აგრეთვე ჭამა-სმა არის
მუცელს არ უნდა ღორობა,
არც უნდა იყოს მეძავი
არ ქმნას პირუტყვთა სწორობა.

გ. ძ.

—

ერთმა თათარმა კავკასიაში ცოლი
შეირთო. თავის საცოლეს სახე ჯერ
არ ენახნა. როდესაც მარტოკა დ-
რჩნენ, ქმარმა ცოლს პირბადე აჰხა-
და და დაინახა მეტად ყოვლად საძაგე-
ლი სახე. ახალგაზრდა ცოლმა მორ-
ცხვად ჰკითხა თავის ქმარს:

— შენს ნათესავებში უფრო ვის
შემიძლიან უპირბადოდ დავენახვო?

— ყველას, ყველას დაენახვე,
ჩემს გარდა! —სიბრაზით წარმოსთქვა
ქმარმა.

წერილი რედაქციის მიმართ

ბ. რედაქტორო! თქვენ პატივცემულ
ჟურნალ ,,ლახტის'' № 3-ში მოთავსე-
ბულია წერილი გორიდან,,მატრაბაზის''
ფსევდონიმით, ვითომ ბანქოს თამაშო-
ბის დროს რაფიელ შარაშიძეს დინით
დაეჭრას ვიღაც დებაძე. უნდა გაღვიარო
ჩემს ნაცნობების წინაშე, რომ ეს რა-
ფიელ შარაშიძე სხვა უნდა იყვეს და
ჩემზე ეჭვიც მეტია, რადგან სამი წე-
ლიწადია გორში არა ვყოფილვარ და
არც ბანქოს მოთამაშე გარ.

რაფიელ ვახტანგის ძე შარაშიძე

ჩვენი ფოსტა.

,,ქვახ''-ს. ,,ჭიათურელებს'' ვერ იბეჭდება
შაქრო ბერძიანცს. ,,აი ყაირათობა''
კარგი იქნებოდა, რომ გეყაირათნად და ამო-
დენა მელანი არ დაგეხარჯათ.

ნოშრევანიძეს. თქვენი ლექსი ,,ჩემს
ხმალს'' ვერ დაიბეჭდება დღევანდელ პირო-
ბებში.

ჯაჯიას შვილის-შვილს. თქვენი სცენა
,,მოტყუებულნი'' ვერ დაიბეჭდება, რადგან
მოკლებულია მარილიან ხუმრობას.

ძ. ლიკლიკიანცს. თქვენი წერილი ,,ქუ-
თაისი (სალორია)'' ნაგვის გოდორში ლიკ-
ლიკებს და ვინ იცის, ენას როდის მოიდგავს.

ხინიაშს. თქენი ლექსები ,,პასუხად ,,ლა-
ხტის მეფოსტეს'' და ,,ამხანაგური ხუმრობა''
მეტად კარგი რამ იყო, ჯერ ქართულ ენაზე
არაფერი დაწერილა მის მსგავსი, მაგრამ
ჩვენდა სამწუხაროდ, ვიღამაც მოგვპარა,
ალბად თაგვებმა იეშმაკეს.



როგორ ატარებენ მოწაფენი დროს უქმეებში.

აღდგომის წინად.

აღდგომის შემდეგ.

ტფილისი სტამბა „შრომა“ მუხრანის ქ. რედაქტორ-გამომცემელი დ. მელაშვილი.